შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი

ტესტი ისტორიაში

ინსტრუქცია

თქვენ წინაშეა საგამოცდო ტესტის ელექტრონული ბუკლეტი.

ყურადღებით გაეცანით ყოველი დავალების პირობას და ისე შეასრულეთ დავალებები.

პასუხები გადაიტანეთ პასუხების ფურცელზე.

ყურადღება!!! გასწორდება მხოლოდ ჩვენ მიერ მოწოდებული პასუხების ფურცელი.
პასუხების ფურცლის გაკეცვა დაუშვებელია.

ტესტის შესასრულებლად გეძლევათ 2 საათი და 40 წუთი.
გისურვებთ წარმატებას!

ინსტრუქცია დავალებებისთვის № 1-24. თითოეულ კითხვაზე მოცემულია ოთხი სავარაუდო პასუხი. მათგან მხოლოდ ერთია სწორი. თქვენს მიერ არჩეული პასუხის მონიშვნის ერთადერთი გზა პასუხების ფურცელზე სათანადო უჯრაში X ნიშნის დასმაა. არცერთი სხვა აღნიშვნა, ჰორიზონტალური თუ ვერტიკალური ხაზები, შემოხაზვა და ა.შ. ელექტრონული პროგრამის მიერ არ აღიქმება. თუ გსურთ პასუხების ფურცელზე მონიშნული პასუხის გადასწორება, მთლიანად გააფერადეთ უჯრა, რომელშიც დასვით X ნიშანი და შემდეგ მონიშნეთ პასუხის ახალი ვარიანტი (დასვით X ნიშანი ახალ უჯრაში). შეუძლებელია, ხელმეორედ აირჩიოთ ის პასუხი, რომელიც გადაასწორეთ. თითოეული დავალება 1 ქულით ფასდება.

1. რა ცვლილება განიცადა ფინიკიელების მიერ შექმნილმა ანბანმა შემდგომში?

ა. მათ მიერ შემოღებულ თანხმოვან ასოებს ბერძნებმა ხმოვნები დაუმატეს
ბ. ეტრუსკებმა მათი ანბანის თითოეულ ნიშანს შეუსაბამეს ხმოვნები და თანხმოვნები
გ. მათ მიერ შემოღებული ასო-ნიშნები ლათინებმა დაალაგეს ალფადან ომეგამდე
დ. ბაბილონელებმა მათ მიერ შემოღებულ ასოებს შეუსაბამეს რიცხვითი მნიშვნელობა

2. რომელ ისტორიულ პროცესს აღნიშნავს „ბერძნული კოლონიზაცია“?

ა. ბერძენი მსჯავრდებულების გადასახლებას მცირე აზიაში

ბ. ბერძნების მიერ ახალი ქალაქების დაარსებას საბერძნეთის გარეთ

გ. დაპყრობილი მოსახლეობის გადასახლებას საბერძნეთში

დ. ბერძენი მეომრების მონაწილეობას სპარსეთის დაპყრობაში

3. რა პირობით გაიცემოდა ფეოდი შუა საუკუნეების ევროპაში?

ა. საეკლესიო მორჩილების
ბ. ამქარში გაერთიანების
გ. სამხედრო სამსახურის
დ. გილდიაში გაწევრიანების

4. სხვა მიზეზებთან ერთად, რამ განაპირობა ქართლის დიდაზნაურთა ანუ ერისთავთა ნაწილის ირანის შაჰის მხარეზე გადასვლა VI საუკუნეში?

ა. მიწების მემკვიდრეობით გადაცემის წინადადებამ

ბ. რელიგიის თავისუფლად არჩევის უფლებამ

გ. საგვარეულო ციხე-კოშკების აგების ნებართვამ

დ. ერთობლივი ლაშქრობებისას მოპოვებული ალაფის განაწილების პირობამ

5. რა იყო თურქ-სელჩუკთა ლაშქრობების ერთ-ერთი უშუალო შედეგი?

ა. ბიზანტიის აღმოსავლეთის პროვინციების დაპყრობა
ბ. ილხანთა სახელმწიფოს განადგურება
გ. ბალკანეთში ისლამის გავრცელება
დ. საღვთო რომის იმპერიის დაშლა

6. რამ განაპირობა, რომ XII საუკუნის ბოლოს საქართველოს მეფე გადაწყვეტილებებს დარბაზთან თათბირის შემდეგ იღებდა?

ა. ევროპელ ჰუმანისტთა იდეების საქართველოში გავრცელებამ
ბ. ქვეყანაში მომხდარმა პოლიტიკურმა გამოსვლამ
გ. აღმოსავლეთის ქვეყნებში რეფორმაციის ეპოქის დაწყებამ
დ. წინა აზიაში საერთაშორისო ვითარების ცვლილებამ

7. სხვა მიზეზებთან ერთად, რამ განაპირობა, რომ ეგვიპტის სულთანმა ქართველებს გიორგი V-ის დროს იერუსალიმის ჯვრის მონასტერი და „კლიტენი იერუსალიმისანი“ დაუბრუნა?

ა. ქართველთა მონაწილეობამ ანტიეგვიპტურ კოალიციაში
ბ. ხანგრძლივი ომის შემდეგ ეგვიპტესთან ზავის დადებამ
გ. საქართველოს ავტორიტეტისა და გავლენის ზრდამ
დ. ქართველი მამელუქების გავლენის გაძლიერებამ

8. რატომ ეწოდება 1555 წელს აუგსბურგში დადებულ ზავს რელიგიური?

ა. გაიყო კათოლიკური და მართლმადიდებლური ეკლესიების გავლენის სფეროები

ბ. გერმანული სამთავროების მცხოვრებლებს აღმსარებლობის თავისუფლება მიენიჭათ

გ. რომის პაპმა აღიარა ანგლიკანური ეკლესიის დამოუკიდებლობა

დ. საფრანგეთში შეწყდა ჰუგენოტებსა და კათოლიკეებს შორის მიმდინარე ომები

9. როგორ გაიყვეს ირანმა და ოსმალეთმა საქართველოს ტერიტორია ამასიის ზავის მიხედვით?

ა. ირანს ერგო აღმოსავლეთ საქართველო, ხოლო ოსმალეთს – დასავლეთი;
ბ. ოსმალეთს ერგო დასავლეთ საქართველო, ხოლო ირანს – სამხრეთი;
გ. ირანს ერგო დასავლეთ საქართველო, ხოლო ოსმალეთს – სამხრეთი;
დ. ოსმალეთს ერგო აღმოსავლეთ საქართველო, ხოლო ირანს – დასავლეთი.

10. რომელი მეფის დროს გამოვიდა ინგლისის ეკლესია რომის პაპის დაქვემდებარებიდან?

ა. რიჩარდ I-ის

ბ. ედუარდ III-ის

გ. ჰენრი VIII-ის

დ. ჯეიმს II-ის

11. ქართლის ტახტის დაკავებამდე ვახტანგ VI ტყვეობაში იმყოფებოდა ისპაჰანში. რა იყო ამის მიზეზი?

ა. ისლამის მიღებაზე უარის თქმა
ბ. ერთმორწმუნე რუსეთთან დაახლოების მცდელობა
გ. ირანის მიერ წარმოებულ ბრძოლაში მონაწილეობისგან თავის არიდება
დ. გამუსლიმებული ქართველი ფეოდალების დაპატიმრება

12. საფრანგეთის რომელი მეფე დასაჯეს რევოლუციის დროს სიკვდილით?

ა. ფრანცისკ I
ბ. ანრი IV
გ. შარლ X
დ. ლუი XVI

13. სხვა მიზეზებთან ერთად, რატომ ვერ განხორციელდა კონტინენტური ბლოკადა?

ა. ინგლისური სამრეწველო საქონელი საუკეთესო ხარისხისა იყო და, მასზე დიდი მოთხოვნილების გამო, ის კონტრაბანდული გზებით მაინც შეჰქონდათ ევროპაში

ბ. ევროპის ქვეყნებში მომხდარი რევოლუციების შედეგად კონტინენტური ბლოკადის ინიციატორებმა თანამდებობები და გავლენა დაკარგეს

გ. ინგლისში სასწრაფოდ ჩატარებული რეფორმების შედეგად გაძლიერდა ქვეყნის სამხედრო პოტენციალი და ამან მისი მოწინააღმდეგეები შეაშინა

დ. ბლოკადის გამო ინგლისური საქონლის დეფიციტით უკმაყოფილო მოსახლეობა საპროტესტო აქციებს მართავდა ევროპის დიდ ქალაქებში

14. რამ განაპირობა აშშ-ში აბოლიციონისტური მოძრაობის აღმოცენება?

ა. მუშათა უმძიმესმა მდგომარეობამ ჩრდილოეთის შტატებში

ბ. ინდიელთა უფლებებისათვის ბრძოლამ დასავლეთის შტატებში

გ. ანტიბრიტანულმა განწყობამ აღმოსავლეთის შტატებში

დ. მონობის არსებობამ სამხრეთის შტატებში

15. რა ეწოდება XIX საუკუნის 50-იან წლებში მიმდინარე რუსეთ-თურქეთის ომს?

ა. ბოსფორის ომი

ბ. ყირიმის ომი

გ. ბალკანეთის ომი

დ. ქერჩის ომი

16. სხვა ღონისძიებებთან ერთად, რა მოიმოქმედა რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრე II-მ სახელმწიფოში არსებული ვითარების გამოსწორების მიზნით?

ა. ჩამოაყალიბა საკანონმდებლო ორგანო - სახელმწიფო სათათბირო
ბ. სასწრაფოდ შეწყვიტა ომი პოლონეთთან და დადო პარიზის ზავი
გ. გამოსცა ბრძანება ბატონყმობის გაუქმების შესახებ
დ. პარლამენტს დაავალა კონსტიტუციის პროექტის შემუშავება

17. სხვა მიზეზებთან ერთად, რამ განაპირობა ქართული საზოგადოების კეთილგანწყობა მეფისნაცვალ მიხეილ ვორონცოვისადმი?

ა. მის დროს აჭარა ოსმალთა ბატონობისგან გათავისუფლდა

ბ. მან ოცდაათიათას კაცს თავადაზნაურობა დაუმტკიცა

გ. მან თბილისსა და ქუთაისს თვითმმართველობა დაუბრუნა

დ. მის დროს ქართველებს უფლება მიეცათ სამხედრო სასწავლებლებში ესწავლათ

18. რომელი სახელმწიფოს ნეიტრალიტეტი დაარღვია გერმანიამ საფრანგეთში შესაჭრელად 1914 წელს?

ა. ბელგიის
ბ. შვეიცარიის
გ. დანიის
დ. ფლანდრიის

19. რა შედეგით დასრულდა 1917 წლის თებერვლის რევოლუცია პეტროგრადში?

ა. იმპერატორის გადადგომით
ბ. მასობრივი რეპრესიების დაწყებით
გ. სამხედრო დიქტატურის დამყარებით
დ. სახელმწიფო სათათბიროს დათხოვნით

20. რომელი ევროპული სახელმწიფო გახდა ფაქტობრივად საქართველოს მთავარი პოლიტიკური მოკავშირე 1918 წელს?

ა. საფრანგეთი

ბ. გერმანია

გ. იტალია

დ. ინგლისი

21. მეორე მსოფლიო ომის წინ ჰიტლერის მიერ განხორციელებული რომელი ქმედება მიანიშნებდა გერმანიის აგრესიულ საგარეო პოლიტიკურ კურსზე?

ა. ფინეთთან ომის დაწყება
ბ. დანიისა და ნორვეგიის ოკუპაცია
გ. რაინის დემილიტარიზებულ ზონაში ჯარის შეყვანა
დ. თავდაცვითი ზღუდის, ე.წ. „მაჟინოს ხაზის“ მშენებლობა

22. რა მოიმოქმედა გენერალმა შარლ დე გოლმა საფრანგეთის კაპიტულაციის შემდეგ?

ა. დაემორჩილა კაპიტულაციის პირობებს და ოკუპანტების მიერ შექმნილ კოლაბორაციონისტულ მთავრობას ჩაუდგა სათავეში

ბ. გადავიდა ინგლისში და იქიდან ხელმძღვანელობდა ფრანგების ბრძოლას გერმანელი ოკუპანტების წინააღმდეგ

გ. არ დაეთანხმა საფრანგეთის კაპიტულაციის პირობებს და პროტესტის ნიშნად დატოვა სამხედრო სამსახური

დ. შეწყვიტა ბრძოლა გერმანელების წინააღმდეგ, მაგრამ არ თანამშრომლობდა კოლაბორაციონისტულ მთავრობასთან

23. რომელ ქალაქში შედგა ნაცისტი დამნაშავეების საერთაშორისო სასამართლო?

ა. მიუნხენში

ბ. ბერლინში

გ. დრეზდენში

დ. ნიურნბერგში

24. რას ითვალისწინებდა 1975 წელს ხელმოწერილი ჰელსინკის აქტი?

ა. ბირთვული იარაღის აკრძალვას
ბ. სოციალისტური ბანაკის დაშლას
გ. სახელმწიფოთა ტერიტორიული მთლიანობის ხელშეუხებლობას
დ. მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის დაძლევას

ინსტრუქცია დავალებებისთვის № 25-28. ქრონოლოგიურად დაალაგეთ ისტორიული მოვლენები და პიროვნებები. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე მოცემულ უჯრებში. გაითვალისწინეთ, რომ უჯრაში იწერება მხოლოდ დასახელებული მოვლენის ან პიროვნების შესაბამისი ციფრი. პირველ უჯრაში იწერება ის ციფრი, რომლითაც ყველაზე ადრე მომხდარი მოვლენაა აღნიშნული და ა.შ. შესაბამისად, ბოლო, მესამე უჯრაში ის ციფრი ჩაიწერება, რომლითაც ყველაზე გვიან მომხდარი მოვლენა აღინიშნა. თითოეული დავალება 1 ქულით ფასდება.

25. ქრონოლოგიურად დაალაგეთ აქემენიანთა დინასტიის წარმომადგენლები მათი მმართველობის დროის მიხედვით:

1. კამბიზ II
2. დარიოს I
3. კიროს II

26. ქრონოლოგიურად დაალაგეთ სელჩუკთა სულთნები მათი მმართველობის დროის მიხედვით:

1. მალიქ-შაჰი
2. ალფ-არსლანი
3. თოღრულ-ბეგი

27. ქრონოლოგიურად დაალაგეთ XIX საუკუნის II ნახევარში საქართველოში მომხდარი მოვლენები:

1. ქართველთა შორის წერა–კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დაარსება
2. აფხაზეთის სამთავროს გაუქმება
3. თბილისის სათავადაზნაურო ბანკის შექმნა

28. ქრონოლოგიურად დაალაგეთ XX საუკუნის II ნახევარში მომხდარი ისტორიული მოვლენები:

1. „გარდაქმნის“ პოლიტიკის დასაწყისი
2. გერმანიის გაერთიანება
3. გაეროს შექმნა

ინსტრუქცია დავალებებისთვის № 29-31. ყურადღებით გააანალიზეთ ილუსტრაცაზე მოცემული ინფორმაცია და უპასუხეთ დასმულ კითხვებს. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილას.

დავალება 29.

კითხვები:

(1) **29.1.** რა სახის ნაბეჭდი პროდუქციაა წარმოდგენილი ილუსტრაციაზე?

(2) **29.2.** რომელ კონკრეტულ ისტორიულ მოვლენასთან დაკავშირებითაა გამოშვებული წარმოდგენილი ნაბეჭდი პროდუქცია და რომელი მონარქის სახელს უკავშირდება ეს მოვლენა?

(2) **29.3.** რომელ სახელმწიფოში გამოუშვეს წარმოდგენილი ნაბეჭდი პროდუქცია? პასუხი აუცილებლად დაასაბუთეთ მხოლოდ ილუსტრაციაზე მოცემული ინფორმაციის მიხედვით.

(1) **29.4.** რა კონკრეტულ მიზანს ემსახურებოდა წარმოდგენილი ნაბეჭდი პროდუქციის გამოშვება?

დავალება 30.



კითხვები:

(1) **30.1.** დაასახელეთ კარიკატურაზე გაშარჟებული პოლიტიკური მოღვაწე.

(2) **30.2.** პოლიტიკური მოღვაწის რა თვისებაა გაშარჟებული კარიკატურაზე? თქვენი მოსაზრება დაასაბუთეთ კარიკატურაზე მოცემული ინფორმაციის მიხედვით.

(2) **30.3.** რომელ სახელმწიფოშია შექმნილი ეს კარიკატურა? თქვენი მოსაზრება აუცილებლად დაასაბუთეთ.

დავალება 31.

1

2

წარწერა №1პლაკატზე - უკრაინულად „ჩადექით დივიზია „გალიციის“ რიგებში მამულის დასაცავად!“

წარწერა №2 პლაკატზე - რუსულად „დიდება უკრაინის გამათავისუფლებლებს!“

კითხვები:

(2) **31.1.** რომელი სახელმწიფოს ინტერესებს ასახავს №1 პლაკატი და რომელ რომელ სახელმწიფოში შეიქმნა №2 პლაკატი?

(1) **31.2.** რა იდეა გამოიყენეს ავტორებმა პროპაგანდისტული მიზნის მისაღწევად?

(1) **31.3.** რომელი ისტორიული მოვლენის დროს შეიქმნა ეს პლაკატები?

ინსტრუქცია დავალებისთვის № 32. ყურადღებით წაიკითხეთ ქვემოთ მოყვანილი ტექსტი და შეასრულეთ დავალება. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილას. გაითვალისწინეთ, არგუმენტი უნდა იყოს კონკრეტული, ნათლად ჩამოყალიბებული და დასრულებული აზრის მქონე. თითო არგუმენტი ფასდება 1 ქულით.

32. მეორე მსოფლიო ომი და ქართველები

1941 წელს ევროპაში მყოფ ქართველ ემიგრანტთა აზრი ორად გაიყო. ერთნი გერმანიის მხარეს ბრძოლას მიიჩნევდნენ საჭიროდ, ხოლო მეორენი - საბჭოთა კავშირის მხარეს.

<u>**დავალება:**</u>

მოიყვანეთ ერთი კონკრეტული არგუმენტი, რომლითაც გერმანიის მხარეს ბრძოლის მომხრე იმ დროს თავის პოზიციას დაიცავადა.

მოიყვანეთ ერთი კონკრეტული არგუმენტი, რომლითაც საბჭოთა კავშირის მხარეს ბრძოლის მომხრე იმ დროს თავის პოზიციას დაიცავდა.

ინსტრუქცია დავალებისთვის №33. დავალებაში მოცემულია გარკვეული ეპოქის ისტორიული რუკა. უპასუხეთ დასმულ კითხვებს, ხოლო პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილას.

დავალება 33. მხოლოდ რუკაზე არსებული ინფორმაციიდან გამომდინარე უპასუხეთ დასმულ კითხვებს

რუკა და კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდებზე



კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდზე

კითხვები:

(2) 33.1. რომელი საუკუნეების ვითარებაა ასახული რუკაზე?

(1) 33.2. რომელი სახელმწიფო დაიპყრეს არაბებმა აზიაში?

(2) 33.3. ჩამოთვალეთ ევროპის ორი სახელმწიფო, რომელიც არაბებს არ დაუპყრიათ.

(1) 33.4. არაბთა დაპყრობებამდე რომელი სახელმწიფოს შემადგენლობაში შედიოდა ქრისტიანთა წმინდა ქალაქი?

(1) 33.5. რომელი დინასტიის მმართველობის დროს დაიპყრეს არაბებმა მაღრიბი?

ინსტრუქცია. ყურადღებით წაიკითხეთ ქვემოთ მოტანილი ისტორიული დოკუმენტი, გაიაზრეთ ტექსტი და უპასუხეთ კითხვებს. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილას. დავალების მაქსიმალური ქულაა 18.

ისტორიული დოკუმენტი და კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდებზე

დავალება 34. ნაწყვეტი „ქართლის ცხოვრების“ ერთ-ერთი თხზულებიდან

ვითარ ცნა მეფე რუსუდანმა თათართა მოახლოება, გაეცალა ტფილისს და ქუთათისში წავიდა. მან მცველად დატოვა მუხას ძე და დაუბარა, თუ თათრები დმანისამდე მოვიდოდნენ, გადაეწვა ტფილისი, დაეტოვებინა მხოლოდ პალატა და ისანი. როცა გაიგო მუხას ძემ თათართა მოახლოება, გადაწვა მთელი ქალაქი, სასახლესთან და ისანთან ერთად. ასე აოხრდა ქალაქი ტფილისი. ნოინები შემოვიდნენ ქართლში, თრიალეთში, ჯავახეთში, სამცხეში, ანისში, შავშეთში, კლარჯეთში, ტაოში, კოლაში, არტაანში. კალიებივით მოეფინენ ირგვლივ და დაიწყეს ხოცვა-ჟლეტა; აღარსად იყო ლხინი, უმოწყალოდ ნადგურდებოდა ქვეყანა. მანდატურთუხუცესი შანშე აჭარაში გაიქცა, ამირსპასალარი ავაგი კაენის ციხეში შევიდა, ვარამ გაგელი ქუთათისში გაიქცა. ჰერნი, კახნი, სომხითარ-ქართლელნი, მესხნი, ტაოელნი, თორელ-არტაან-კოლაელნი გარბოდნენ კავკასიისა და მთიულეთის ციხეებსა და მთებში, ტყეებსა და სიმაგრეებში. გაგრძელდა ქვეყნის მოსპობა და განადგურება ჩვენივე უსჯულოების გამო. ქართველებს ან მწარე ტყვეობა ელოდათ ან უმოწყალო სიკვდილი. შებრალება არ იცოდა მტერმა.

როდესაც ქვეყანა ამ გაუთავებელმა უბედურებამ მოიცვა, ძლიერი ერისთავები განცალკევდნენ, ყველა მხოლოდ საკუთარ თავზე ზრუნავდა, რადგან მეფე რუსუდანი საფუძვლიანად დამკვიდრდა ლიხს იქით. ლიხს აქეთ ვერ გადმოდიოდა. მეფეს მხოლოდ ლტოლვილები ხედავდნენ. ქართველები არ იყვნენ ერთ მუშტად შეკრულნი და ერთსულოვანნი.

ამ ბოროტების შემყურე ავაგ ამირსპასალარმა, ივანე მხარგრძელის ძემ, მოციქულები გაგზავნა ბარ-დავში, სადაც დაბანაკებული იყვნენ ზემოხსენებული მთავრები. ითხოვდა რა ზავს, ავაგი ჰპირდებოდა: მსახურებას, ხარკის გადახდას, თავისი ქვეყნის

გადასვლა კითხვებზე: 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12

ტექსტის გაგრძელება იხილეთ შემდეგ გვერდზე

მათთვის დამორჩილებას. მან ითხოვა ხელშეუხებლობის ფიცი. თათრებმა სიხარულით მიიღეს ავაგის მოციქულობა და თანხმობა ფიცითაც განამტკიცეს. დამშვიდდა ავაგის სამფლობელო.

შეიტყო შანშე მანდატურთუხუცესმა ავაგისა და თათრების ზავის შესახებ, მანაც მოინდომა თავის ქვეყნის უვნებლად დაცვა, ეს კი მხოლოდ ზავით იყო შესაძლებელი. შანშემ სთხოვა ავაგს, წასულიყო და ემოციქულა მისთვის თათრებთან. თათრებმა ეს მოციქულობა სიხარულით მიიღეს და დადეს უვნებლობის ფიცი. შანშეც მათ ეახლა. თუ რომელიმე ქართველი თავადი მივიდოდა, სიხარულით ღებულობდნენ, ურჩების სამფლობელოს კი მიწასთან ასწორებდნენ. ეს რომ შეიტყო ვარამ გაგელმა, დამორჩილდა ისიც მტერს და ზავით შეწყნარებული მისი სამფლობელოც დამშვიდდა.

ქალაქი ტფილისი თათრებმა იგდეს ხელთ. ამ გაუსაძლისი გასაჭირით შევიწროებული ქართველი მთავრები დაემორჩილნენ თათრებს. მესხები, რუსუდან მეფის სიყვარულის გამო არ მიემხრნენ. ამის გამო გამძვინვარებულმა ჩაღატა ნოინმა ილაშქრა სამცხეზე. მესხები ციხეში ჩაიკეტნენ. მრავალი სული მოისპო სამცხეში. სხვა გზა არ დარჩა და ივანე ციხისჯვარელმა ჯაყელმა, რომელსაც ყვარყვარესაც უწოდებდნენ და რომელიც თანამდებობით მეჭურჭლეთუხუცესი იყო და ამავე დროს სამცხის მთავარიც, მოახსენა მეფე რუსუდანს, რომ ისიც აპირებდა დამორჩილებოდა ჩაღატას, რათა სამცხის ქვეყანა აოხრებისგან ეხსნა. მეფე დათანხმდა. მაშინ წავიდა ივანე და იხილა ჩაღატა, რომელმაც პატივით მიიღო.

რუსუდან მეფემ დაინახა, რომ ქვეყნის აღმოსავლეთი თათრებმა დაიპყრეს. მან გადაწყვიტა, გაეგზავნა თავისი ძე დავითი და დაემორჩილებინა ის თათრებისთვის იმ პირობით, რომ არაფერს ავნებდნენ. დაბრუნდა მეფე რუსუდანი ტფილისში და თავისი ძე დავითი ნოინთა წინაშე წარადგინა. ხოლო მათ ინებეს

გადასვლა კითხვებზე: 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12

ტექსტის გაგრძელება იხილეთ შემდეგ გვერდზე

მისი წარვლენა დიდ ყაენ ბათოსთან და ყარაყორუმში, მანგუ ყაენთან. რა შეიტყო რუსუდანმა თავისი ძის წარვლინება უცხო ერში, უცნობი გზით, ტკივილითა და მწუხარებით აღივსო. განუწყვეტლივ ცრემლთა ღვრაში იყო, იგონებდა, რა უყო თავისი ძმისწულ დავითს, როგორ გააძევა იგი. ასევე, გაძევებული, წარავლინეს თათრებმა მისი ძე ბათოსთან. რაკი აღარ იყო სხვა გზა, წავიდა დავით. რუსუდანმა თან გააყოლა რამდენიმე თანაშეზრდილი: ქართლის ერისთავის სურამელ გრიგოლის შვილი ბეგა, გურკლელი მახუნჯაგის ძე, ბეშქენ ამირეჯიბი. მიაღწიეს ზემოხსენებულ ბათოსთან, რომელმაც კეთილად ისტუმრა დავით და ორი წელი თავისთან ჰყავდა. შემდეგ კი წარავლინა ჩინმაჩინსა და ყარაყორუმში მანგუ ყაენთან. ყაენმა კეთილგანწყობით მიიღო და ავაგს შეახვედრა, რომელიც მასზე ადრე იყო იქ მისული.

გადასვლა კითხვებზე: 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12

მეფე რუსუდანი საყვარელი შვილის გამო უზომოდ სწუხდა. დასნეულდა, ტფილისში გარდაიცვალა. მთავრებმა რუსუდანი დიდი პატივითა და გოდებით გაასვენეს, რადგან არავინ იყო დარჩენილი მეფის ნათესავთაგან.

ყველამ შეიტყო საქართველოს უმეფოდ დარჩენა. აღიძრა უამრავი მტერი ქვეყნის ასაოხრებლად - საბერძნეთში მყოფი თურქმანები, ეზინკის სულთანი, სხვა ქალაქში მყოფი ამირები. უწინამძღვრა ყვარყვარემ მესხთა სპას და შეებნენ ერთურთს. ორივე მხრიდან დიდძალი მეომარი დაიღუპა. დამარცხდნენ ბერძნები და თურქები და გაიქცნენ.

კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდებზე

კითხვები:

(1) 34.1. წყაროს მიხედვით, ზუსტად შეასრულა თუ არა მუხას ძემ მეფის ბრძანება? პასუხი აუცილებლად დაასაბუთეთ ტექსტის მიხედვით.

(1) 34.2. წყაროში არსებული რა ინფორმაცია ადასტურებს, რომ მონღოლთა შემოსევისას ისტორიული სომხეთის ტერიტორიის ნაწილი საქართველოს სამეფოს შემადგენლობაში შედიოდა?

(1) 34.3. წყაროს მიხედვით, განმარტეთ, რატომ ხედავდნენ მეფეს მხოლოდ ლტოლვილები?

(1) 34.4. წყაროში არსებული ინფორმაციიდან გამომდინარე, რატომ იქცა ზოგიერთი ქართველი დიდებულისთვის მისაბაძად ავაგის საქციელი?

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის 1-ლ გვერდზე
გადასვლა დოკუმენტის ტექსტის მე-2 გვერდზე
გადასვლა დოკუმენტის ტექსტის მე-3 გვერდზე

(1) 34.5. თქვენ რომ ყოფილიყავით მონღოლთა შემოსევის პერიოდის ქართველი დიდებული, მათთან ურთიერთობის რა გზას აირჩევდით და როგორ დაასაბუთებდით საკუთარ გადაწყვეტილებას?

(1) 34.6. დაასახელეთ წყაროში მოხსენიებული ის მონღოლი მმართველები, რომლებთანაც გაემგზავრა რუსუდანის ძე.

(1) 34.7. წყაროს მიხედვით, რამ გამოიწვია საქართველოზე სხვადასხვა მუსლიმ მმართველთა გამოლაშქრება?

(2) 34.8. წყაროს მიხედვით, დაასახელეთ ყველა ის ვალდებულება, რომელსაც ავაგ მხარგრძელი მონღოლებისგან ზავის მიღების სანაცვლოდ კისრულობდა.

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის 1-ლ გვერდზე
გადასვლა დოკუმენტის ტექსტის მე-2 გვერდზე
გადასვლა დოკუმენტის ტექსტის მე-3 გვერდზე

(2) 34.9. წყაროს მიხედვით, დაასახელეთ ორი მიზეზი, რამაც მონღოლებს საქართველოს დაპყრობა გაუადვილა.

(2) 34.10. მემატიანის აზრით, ქვეყნის განადგურება „ჩვენივე უსჯულოების გამო“ მოხდა. რა იგულისხმება „ჩვენივე უსჯულოებაში“ და რა განაპირობებს ავტორის მიერ მოვლენის ამგვარ ახსნას?

(2) 34.11. წყაროს მიხედვით, რა განასხვავებდა ყვარყვარესა და მონღოლებთან დაზავებული სხვა ქართველი დიდებულების საქციელის ერთმანეთისგან?

(3) 34.12. დაასახელეთ ტექსტში ნახსენები საქართველოს სამეფოს ცენტრალური აპარატის უმაღლესი სამოხელეო თანამდებობები.

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის 1-ლ გვერდზე
გადასვლა დოკუმენტის ტექსტის მე-2 გვერდზე
გადასვლა დოკუმენტის ტექსტის მე-3 გვერდზე